

ჩემი კოდექსი-

ჩემი პასუხისმგებლობა

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრების ქცევის და ეთიკის კოდექსი

ინტერესის დაცვის ვალდებულება



ანგარიშგება



კეთილსინდისიერება



| HOME 

ღირსება და პატივისცემა



სარჩევი

....

ქსს - საზოგადოებრივი ჯანდაცვის გაძლიერების უნიკალური პლატფორმა

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრების ვალდებულებები	4
კოდექსის აღსრულება	6
ინტერესთა დაცვის ვალდებულება	7
ანგარიშება	8
▶ გამჭვირვალობის პრინციპი	9
▶ მომზადება და აქტიური მონაწილეობა	10
▶ ქსს-ს აქტივების პასუხისმგებლობით გამოყენება	11
▶ ინფორმაციის პასუხისმგებლობით მართვა	11
კეთილსინდისიერება	12
▶ მიუკერძოებლობა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება	13
▶ სიმართლე და სიზუსტე	14
▶ სამართლიანობა და თანმიმდევრულობა	15
▶ პატიოსნება	16
ღირსება და პატივისცემა	18
▶ ადამიანის უფლებათა დაცვა, მათ შორის არა-დისკრიმინაციული მოყრობა	19
▶ ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს უზრუნველყოფა	20
განცხადება	21

ქსს - საზოგადოებრივი ჯანდაცვის გაძლიერების უნიკალური პლატფორმა

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო წარმოადგენს შიდსის, ტუბერკულოზის და მალარიის ეროვნული პროგრამების მართვის პროცესში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მექანიზმს. ქსს ქვეყნის სახელით ითხოვს დაფინანსებას გლობალური ფონდიდან და უზრუნველყოფს სტრატეგიულ ზედამხედველობას პროგრამის ეფექტური და სტრატეგიული განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

ქსს-ს ეფექტურობას ენიჭება ცენტრალური როლი გლობალური ფონდის მისიის - „მოახდინოს მსოფლიოს ფინანსების ინვესტირება შიდსის, ტუბერკულოზის და მალარიის დასრულების მიზნით“ განხორციელებაში. საბჭო წარმოადგენს უნიკალურ ფორუმს ქვეყნის დონეზე, რომელიც აერთიანებს ყველა სექტორის წარმომადგენლებს, მათ შორის, დაზარალებულ ჯგუფებს (საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვა სფეროები, მაგ. ჯანდაცვის სისტემების გაძლიერება) საბოლოო მისიის - სამი დაავადებისგან თავისუფალი მსოფლიო - მისაღწევად.

გლობალური ფონდის მოდელის ძირეული პრინციპები ემყარება ეთიკური ღირებულებების სერიას:

ქვეყნის კუთვნილება

პარტნიორობა

გამჭვირვალობა

შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსება

გლობალური ფონდის ეთიკური პრინციპები:

ინტერესის დაცვის ვალდებულება

ანგარიშგება

კეთილსინდისიერება

ღირსება და პატივისცემა

გლობალური ფონდის ფინანსების დაცვის და პროგრამის განხორციელების ზედამხედველობის ფუნქციით აღჭურვილი მთავარი მმართველი ორგანოსგან, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოსგან მოითხოვება იგივე პრინციპების და ღირებულებების დაცვა. ეთიკური, გამჭვირვალე და პასუხისმგებლობის პრინციპები გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარმოადგენს ქვეყნის დონეზე პროგრამის განხორციელების წარმატების საწინდარს.

გლობალური ფონდის პრინციპები: -----



ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრების ვალდებულებები

ქვეყნის კოდექსი განსაზღვრავს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრების (მათ შორის რეგიონული საკოორდინაციო საბჭოს, ალტერნატიული წევრების და სამდივნოს თანამშრომლების) მიერ მათზე ქსს-ს სახელმძღვანელო რეგულაციების, ქსს-ს პოლიტიკის მიერ დაკისრებული ვალდებულებების განხორციელების წესს. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრები ვალდებული არიან:

▶ წავიკთხოთ, გაათვითცნობიეროთ და იმოქმედონ კოდექსთან შესაბამისობაში;

▶ გლობალური ფონდის მოთხოვნით დაადასტუროთ მზაობა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრის სტატუსით იმოქმედონ კოდექსის შესაბამისად;

▶ იმოქმედონ ეთიკის ნორმების შესაბამისად და სამაგალითოდ ქსს-ს წევრობის კონტექსტში;

▶ მხარი დაუჭიროთ ნებისმიერ პირს, რომელიც გამოთქვამს შეშფოთებას კოდექსის ან ქსს-ს რეგულაციების დარღვევასთან დაკავშირებით;

▶ წამოაყენონ საკითხები და გამოხატონ შეშფოთება იმ შემთხვევაში თუ მათ აქვთ ინფორმაცია ქსს-ს რეგულაციების, წინამდებარე კოდექსის და ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებული ნებისმიერი კანონის დარღვევასთან დაკავშირებით.

წინამდებარე კოდექსით ქსს-ს წევრისგან მოსალოდნელია:

იმოქმედოს ინტერესის დაცვის
ვალდებულების შესაბამისად;

იმოქმედოს ანგარიშგების

პრინციპის დაცვით;

იმოქმედოს

კეთილსინდისიერად

იმოქმედოს ღირსებით და

პატივისცემით

განაცხადოს დარღვევების შესახებ.

ქსს-ს თავმჯდომარის აღმასრულებელი კომიტეტის და ეთიკის კომიტეტის წევრების პასუხისმგებლობები

ხელი შეუწყონ ქსს-ს წევრების მიერ კოდექსის და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტების (ქსს-ს რეგულაციები, ქსს-ს ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა, ქსს-ს წესდება) ცოდნას;

- ქსს-ს წევრებისათვის კოდექსის და ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკის დოკუმენტის მიწოდების და დოკუმენტებთან გაცნობის, დოკუმენტების მიერ განსაზღვრული წესების თანმიმდევრულად და განუხრელად დანერგვის უზრუნველყოფა;
- იმის უზრუნველყოფა, რომ არცერთი პირი არ ისჯება ან ზარალდება კოდექსთან დაკავშირებული კითხვების წამოყენებისთვის ან შეშფოთების გამოხატვისთვის;
- ქსს-ში ურთიერთპატივისცემაზე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემოს შექმნა, ყველა წევრის მიერ აქტიური და ეფექტური მონაწილეობით, რომელიც ეფუძნება გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალე და სამართლიან მექანიზმს.

საბჭოს სამდივნოს თანამშრომლები

ქსს-ს სამდივნოს თანამშრომლები ვალდებული არიან აღმოუჩინონ ქსს-ს ყველა წევრს დროული, პროფესიონალური და გამჭვირვალე ხასიათის დახმარება, მათ შორის პასუხისმგებლობით აწარმოონ ინფორმაციის და ბიუჯეტის მართვა, ქსს-ს სხდომის ოქმების შემუშავება.

თუ ქსს-ს წევრებს აქვთ კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა აღასრულონ კოდექსი, ან მათ აქვთ ეჭვი, რომ სხვა პირები შესაძლოა არ ასრულებენ კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ აქტიურად უნდა დაიცვან კოდექსის აღსრულება განცხადების გზით:

▶ სადაც შესაძლებელია წამოჭრან საკითხი ქსს-ს შიგნით.

▶ პარალელურად აცნობონ გლობალურ ფონდს.

გლობალური ფონდი არ დაუშვებს ნებისმიერი ფორმით იმ პირების საწინააღმდეგოდ საპასუხო ზომების განხორციელებას, ვინც მოქმედებს კოდექსის თანახმად და ახდენს განცხადებას.

კოდექსის აღსრულება

კოდექსი წარმოადგენს ქსს-ს სახელმძღვანელო პრინციპების და საკვალიფიკაციო მოთხოვნა #6-ის კომპონენტს. შესაბამისად, გლობალური ფონდი ახდენს აღნიშნული კოდექსის აღსრულების, როგორც გლობალური ფონდის დაფინანსების მიღების პირობის, მონიტორინგს. საქართველოს ქსს-ს წევრების მიერ კოდექსის დაცვა გათვალისწინებული იქნება გლობალური ფონდის მიერ საქართველოს ქსს-ს ეფექტურობის საერთო შეფასებისას. ქსს-მ უნდა უზრუნველყოს ინდივიდუალური წევრების თანხვედრა კოდექსთან, შესაბამისი სამართლიანი პროცესის დაცვით. კოდექსის დარღვევის შემთხვევაში შედეგები იქნება პროპორციული და შეიძლება შეიცავდეს გადაწყვეტილებების მიღებიდან აცილებას, სახელმძღვანელო როლის ჩამოშორებას ან ქსს-დან გარიცხვას.

ინტერესთა დაცვის ვალდებულება

ქსს-ს ინტერესთა დაცვის ვალდებულების პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია ობიექტია: დაავადებული პირები, დაზარალებული მოსახლეობა, აივ/შიდსის, მალარიის და ტუბერკულოზის რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობა.

ქსს-ს წევრების ვალდებულებები საკუთარი წარმომადგენლობების და დაინტერესებულ მხარეების მიმართ უნდა იყოს მიმართული ეპიდემიის დასრულების მიმართ საზოგადოების ფართო ინტერესის მხარდაჭერისკენ და არა აღნიშნულის შეჩერებისკენ.

ქსს-ს წევრებმა უნდა უზრუნველყონ გლობალური ფონდის რესურსების

ეფექტური და რაციონალური გამოყენება მაქსიმალური შედეგის მისაღწევად შემდეგი ფაქტორების მეშვეობით:

▶ გლობალურ ფონდში ეროვნულ სტრატეგიულ გეგმებზე/საინვესტიციო ინსტრუმენტებზე დაფუძნებული მაქსიმალურად ეფექტური, შათი შორის ძირითად ჯგუფებზე მიმართული, ინტერვენციების შემცველი დაფინანსების მოთხოვნების წარდგენა

გრანტის განხორციელებისათვის აუცილებელი უნარების არსებობის უზრუნველყოფა განმახორციელებელ ორგანიზაციებში და სისტემებში;

გრანტების ეფექტური, დროული, რესურსების სათანადო გამოყენებით განხორციელებაზე ზედამხედველობა მოსალოდნელი შედეგების შესრულების/გადაჭარბებით შესრულების მიზნით;

ზემოთ ხსენებული აქტივობების შესრულებლობის შემთხვევაში აღნიშნულის განცხადება.



ანგარიშგება

ქსს-ს წევრები ანგარიშვალდებულნი არიან იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ისინი წარმოადგენენ საბჭოში. ქსს მთლიანობაში აკისრია კოლექტიური პასუხისმგებლობა ქვეყანაში ეკიდემიების დასრულების მისიის განხორციელებაში.

ამრიგად, ქსს-ს წევრისგან მოსალოდნელია:

დაიცვას გამჭვირვალობის პრინციპი;

მოემზადოს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქსს-ს საქმიანობაში;

პასუხისმგებლობით მოეკიდოს ქსს-ს აქტივების განკარგვის ფუნქციის განხორციელებას;

პასუხისმგებლობით მართოს ინფორმაცია.

გამჭვირვალობის პრინციპი

რადგანაც ქსს-ს საზოგადოებრივი ინსტიტუციაა, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და დაინტერესებული მხარეების ინტერესებს, ქსს-ს წევრები უნდა იყვნენ ღია საზოგადოებასთან, განსაკუთრებით მათთან, ვის ინტერესსაც წარმოადგენენ, და წარადგინონ საკუთარი წარმომადგენლობების მოსაზრებები ქსს-ს წინაშე. ამრიგად ქსს-ს წევრი ვალდებულია:

- ▶ მყისიერად და დეტალურად მიაწოდოს მიღებული ინფორმაცია საკუთარი წარმომადგენლობას კონსტრუქციული უკუკითხვის დროული მიღებისთვის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის განხორციელების მიზნით;
- ▶ საზოგადოების ჯანდაცვის ფართო ინტერესის ჭრილში, ინტერესთა დაცვის ვალდებულების აღსრულებისას მოიძიოს და წარადგინოს ქსს-ს სხდომებზე წარმომადგენლობის ხედვა და მათი წუხილი;

- მოახდინოს წარმომადგენლობის ინფორმირება ქსს-ს გადაწყვეტილების თაობაზე, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც წარმომადგენელი

მონაწილეობდა გადაწყვეტილების მომზადებაში.

მომზადება და აქტიური მონაწილეობა

ქსს-ს წევრები ვალდებული არიან სერიოზულად მოეციდონ მათზე დაკისრებულ როლს:

- ▶ რეგულარულად დაესწრონ ქსს-ს სხდომებს;
- ▶ მოემზადონ სხდომისთვის - წინასწარ გაეცნონ სხდომის მასალებს და შეასრულონ წინა სხდომებზე აღებული ვალდებულებები;
- ▶ უზრუნველყონ ქსს-ს გადაწყვეტილებების სათანადო დოკუმენტირება
- ▶ სრულად ითანამშრომლონ განმახორციელებლებთან და გლობალურ ფონდთან

ქსს-ს წევრებმა უნდა უზრუნველყონ

განმახორციელებლების უწყვეტი ანგარიშგება გრანტების ზედამხედველობაში მონაწილეობის გზით, მათ შორის:

საველე ვიზიტებში აქტიური მონაწილეობა (პირადი უსაფრთხოების გათვალისწინებით) და

- ▶ დაავადებების საკითხების გარშემო გამართულ თათბირებში მონაწილეობა;



გრანტებით დაფინანსებული სერვისებთან წვდომის, მათი ხარისხის და

სერვისების მიღების თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით წარმომადგენლობებიდან უკუგების მიღების ხელშეწყობა;

- ▶ გრანტის განხორციელების შედეგების გაანალიზებაში მონაწილეობის მიღება და განმახორციელებლებთან დიალოგის გზით პრობლემების შესწავლა;

- ▶ განმახორციელებლების უფლებამოსილების ან შესაძლებლობების მიღმა მყოფი პრობლემების გადაჭრაში ხელის შეწყობა;

- ▶ ქსს-ს ფუნქციონირების გაუმჯობესების გზების პროაქტიული მოძიება;

ქსს-ს აქტივების

პასუხისმგებლობით

ი ამოცინიბა

ფინანსური რესურსები, ოფისი, აღჭურვილობა და ტრანსპორტი მიეწოდება ქსს-ს მისი სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის. წევრები არიან ამ აქტივების მმართველები, ამრიგად მათგან მოითხოვება:

- ▶ არ გამოიყენონ ქსს-ს აქტივები პირადი საჭიროებისთვის ან იმ საჭიროებებისთვის, რომელიც არ უკავშირდება ქსს-ს საქმიანობას;
- ▶ არ დაუშვან აქტივების დაზიანება, მათი არამიზნობრივი გამოყენება ან დაკარგვა;
- ▶ განაცხადონ, თუ მათ აქვთ ეჭვი, რომ აქტივები არასათანადოდ გამოიყენება.

ინფორმაციის პასუხისმგებლობით

მართვა

ქსს-ს წევრებიდან მოითხოვება დაიცვან ბალანსი

გამჭვირვალობის პრინციპსა და

კონფიდენციალურობას შორის. ამისთვის საჭიროა:

- ▶ არგამჟღავნება ინფორმაციის, რომელიც ქსს-ს ან გლობალური ფონდის მიერ ოფიციალურად არის მიჩნეული როგორც კონფიდენციალური; როდესაც ინფორმაცია არ არის კონფიდენციალური უზრუნველყონ მისი დროული მიწოდება წარმომადგენლობებისთვის, საზოგადოებისთვის;
- ▶ უზრუნველყონ ქსს-ს სხვა სხვა წევრების მიერ კონფიდენციალურობის წესების ცოდნა და მათი დაცვა;
- ▶ პასუხისმგებლობით გამოიყენონ და დაიცვან კომპიუტერული სისტემების
- ▶ იდენტიფიკატორები და საკვანძო სიტყვები
- ▶ გამოიჩინონ სიფხიზლე კიბერ შეტევების და თაღლითობის მიმართ და დაუყოვნებლივ შეატყობინონ აღნიშნულის შესახებ ქსს-ს ხელმძღვანელობას.

კეთილსინდისიერება

ქსს-ს წევრისგან მოითხოვება:

მიუკერძოებლობა,

სიმართლე და სიზუსტე.

სამართლიანობა და თანმიმდევრულობა; და
პატიოსნება.

ქსს-ს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, პრიორიტეტულია სამი დაავადებით
დაზარალებული მოსახლეობის საუკეთესო ინტერესები



მიუკერძოებლობა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

ქსს-ს წევრებს გარდა ქსს-ს წევრისა როლისა აქვთ მნიშვნელოვანი კავშირები ქსს-ს მიღმა, როგორცაა:

- ▶ სხვა ორგანიზაციებში მათზე დაკისრებული როლი
- ▶ პასუხისმგებლობა მეგობრებსა და ოჯახის წევრების მიმართ
- ▶ პოლიტიკური პარტიის ან მთავრობის წევრობა
- ▶ კომპანიის ან არასამთავრობო ორგანიზაციის ფლობა და დირექტორთა საბჭოს წევრობა

ასევე შესაძლებელია ქსს-ს წევრებს შესთავაზონ ან მოახდინონ საჩუქრების და სხვა ბენეფიტების, როგორცაა მგზავრობის თანხის ანაზღაურება, სხვა პრივილეგიების შეთავაზების მცდელობა, მათი ქსს-ს წევრის როლის მიღმა. აღნიშნულმა ქმედებებმა შესაძლოა შექმნან ქსს-ს წევრზე შემდეგ კომპონენტებში ზემოქმედების

შთაბეჭდილება:

- ▶ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც არ ემსახურება საზოგადოებრივი ჯანდაცვის საუკეთესო ინტერესებს
- ▶ ქსს-ს დროის და რესურსების არასათანადო გამოყენება
- ▶ ქსს-ს კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა

პოლიტიკის და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული წესდების (მაგ. თაღლითობის წინააღმდეგ, ანტი-კორუფციული კანონი) დარღვევა

ქსს-ს წევრისგან მოითხოვება თავიდან აცილოს ამგვარი სახის სავარაუდო, პოტენციური ან რეალური ინტერესთა კონფლიქტი, ქსს-ს წევრებს **მოეთხოვებათ** დაიცვან ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა. ამ პოლიტიკასთან შესაბამისად, ქსს-ს წევრი **ვალდებულია**:

▶ დაუყოვნებლივ გაამჟღავნოს ქსს-ს წინაშე ნებისმიერ პოტენციურ ან ფაქტობრივ ინტერესთა კონფლიქტის არსებობა.

პერიოდულად განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რომელიც წარმოიქმნა ქსს-ს ნებისმიერი წევრის მიმართ;

არ მიიღოს და გასცეს საჩუქრები, რომლებიც უკავშირდება მასზე დაკისრებულ ქსს-ს წევრის როლს.

ინტერესთა კონფლიქტის დადგომის ან სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, ქსს-ს წევრი მიყვება ქსს-ს ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკას, მათ შორის:

▶ არ ღებულობს მონაწილეობას დისკუსიებში, გადაწყვეტილების მიღებაში, კენჭისყრაში იმ საკითხებთან მიმართებაში, სადაც არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, მათ შორის საზედამხედველო ფუნქციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და განმახორციელებლის დაფინანსება;

განაცხადება იმის თაობაზე, რომ ქსს-ს წევრ-კოლეგას აქვს კავშირები, რომელიც არ არის სათანადოდ განცხადებული და მართული.

სიმართლე და სიზუსტე



საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვანი ინვესტიციები და გადაწყვეტილებების მიღება წარმოებს შემდეგი ინფორმაციის და მონაცემების საფუძველზე:

- ▶ დაავადების ტვირთის ბუნება და მოცულობა
- ▶ ინტერვენციების ზეგავლენის ბუნება და მასშტაბი
- ▶ მომატებული რისკის ქვეშ მყოფი და მარგინალიზირებული მოსახლეობისთვის ჯანდაცვის სერვისზე წვდომის ბარიერების ბუნება და სახეობა
- ▶ პროგრამის განხორციელების ტემპი და ხარისხი
- ▶ ინტერვენციების ღირებულება
- ▶ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემების სანდოობა და ხარისხი
- ▶ განმახორციელებლების სანდოობა და ხარისხი

ამრიგად, ქსს-ს წევრებს მოეთხოვებათ ამ ინფორმაციის ზუსტად და სრულად რეპორტირების და გამოყენების უზრუნველყოფა. **მათ ასევე მოეთხოვებათ** განცხადება წინასწარ განზრახული ან უნებლიე შეცდომების (მანიპულაცია, ინფლირება, არასწორი გამოთვლა, არასრული ან არასწორი განცხადებები) ეჭვის შემთხვევაში.

სამართლიანობა და თანმიმდევრულობა



ქსს-ს წევრებს მოეთხოვებათ გლობალური ფონდის და ქსს-ს წესების, სახელმძღვანელო მითითებების, კოდექსების და პოლიტიკის განუყრელი და თანმიმდევრული დაცვა. თუ ქსს-ს წევრს გააჩნია ეჭვი, რომ ქსს-ს წესები, სახელმძღვანელო მითითებები, კოდექსები და პოლიტიკა ირღვევა, მას აქვს ამის შესახებ განცხადების ვალდებულება.

გლობალური ფონდის ქსს-ს პოლიტიკის დოკუმენტები

დოკუმენტი	განსაზღვრავს
Guidelines and Requirements CCMs*	<ul style="list-style-type: none"> - ქსს-ს და წევრების ძირითად როლი და ფუნქციები - ქსს-ს დაფინანსების 6 საკვალიფიკაციო მოთხოვნა - კარგი მმართველობის პრინციპები და პრაქტიკა - ქსს-ს შესრულებული სამუშაოების რევიზიის პროცესი - ქსს-სთვის ხელმისაწვდომი ტექნიკური და ფინანსური დახმარება <p>ქსს-ს ეფექტურობის სტანდარტები და წარმატებულ პრაქტიკაზე დაფუძნებული რეკომენდაციები</p>
The Code of Conduct for Recipients**	გლობალური ფონდის გრანტების ყველა მიმღების ქცევის პრინციპები და სტანდარტები
The Policy on Ethics and Conflict of Interest**	<ul style="list-style-type: none"> - პოტენციური და ფაქტობრივი ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირება - პოტენციური და ფაქტობრივი ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნების პასუხისმგებლობა და მართვა
The Whistle- Blowing Policy and Procedures**	<ul style="list-style-type: none"> - გლობალური ფონდის პროცედურები შესაძლო არასათანადო ქმედებების და დარღვევების კონფიდენციალური რეპორტირებისთვის შესაბამისი გამოსასწორებელი ზომების გატარების მიზნით
CCM Funding Policy*** Guidelines for CCM Funding*** CCM Funding Step-by- Step Guide***	გლობალური ფონდის ქსს-ს დაფინანსების გამოყენება, ქსს-ს დაფინანსების მიზნობრივი გამოყენება, დანახარჯებზე თვალის მიდევნება

* Accessible at <https://www.theglobalfund.org/en/country-coordinating-mechanism/funding/>

** Accessible at <https://www.theglobalfund.org/en/country-coordinating-mechanism/>

*** Accessible at <https://www.theglobalfund.org/en/country-coordinating-mechanism/funding/>

პატიოსნება



ქსს-ს წევრები მოწოდებული არიან რესურსების არამიზნობრივი გამოყენების, თაღლითობასა და კორუფციასთან ბრძოლისთვის, გლობალური ფონდის კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის შესაბამისად. დაუშვებელია ტოლერანტობა ან მონაწილეობა ნებისმიერ, ანგარიშის გაყალბების, გლობალური ფონდის აქტივების ან მონაცემების არამიზნობრივი გამოყენებასთან (განსაკუთრებით - პირადი, კრიმინალური ან პოლიტიკური მიზნები) დაკავშირებულ ქმედებებში.

ქსს-ს წევრებს მოეთხოვებათ:

- ▶ **კორუფციის პრევენცია:** გლობალური ფონდის სახსრების მიზნობრივად გამოყენების უზრუნველყოფა
 - ▶ **კორუფციის აღმოჩენა:** კორუფციაში ჩართულთა მხილება
- კორუფციასთან ბრძოლა:** კორუფციაზე ეჭვის განცხადება



გლობალური ფონდის კრძალავს და ახდენს რეგაირებას ნებისმიერი ფორმის თაღლითობაზე და კორუფციაზე

კორუფციასთან ბრძოლის გლობალური ფონდის პოლიტიკა განსაზღვრავს სპეციფიურ „აკრძალულ ქმედებებს“. ქსს-ს წევრი მოწოდებულია მოახდინოს ამ პრაქტიკების პრევენცია, გამოაშკარავება და რეპორტირება.

აკრძალულია შემდეგი პრაქტიკა:

კორუფციული ქმედებები:

რთაში, გადაწყვეტილებების მიღებაზე ზეგავლენა სარგებელის მიზნით

თაღლითური ქმედებები:

სიცრუე ფინანსების გამოყენების მიზნით ან დაფინანსების მიღების მიზნით გამოყენებული ინფორმაცია

იმულების პრაქტიკა:

დამინება ზეგავლენის მოხდენის მიზნით

კოლუზიური პრაქტიკა:

რო ან მეტი მხარის თანამშრომლობა აკრძალული ქმედებების მიზნით

ბოროტად გამოყენება

ერდობა, გაფლანგვა, გამიზნულად რეგულაციური ხარჯვა

ობსტრუქციული ქმედებები:

მიუხედავად ეჭვის ან ინფორმაციის ფლობისა გლობალური ფონდისთვის ინფორმაციის არგამჟღავნება, ან გლობალური ფონდის მიერ აკრძალული ქმედებების მტკიცებულებების მდებარეობა

სამაგიეროს გადახდა:

ზიანის მიყენება ან ზიანის მიყენების მცდელობის პირისთვის, ვინც უარი განაცხადა აკრძალული ქმედების განხორციელებაზე ან კეთილსინდისიანად აცხადებს აკრძალული ქმედების შესახებ

ფულის გათეთრება:

კრიმინალურ აქტივობებთან დაკავშირებულ ფულადი სახსრების მართვა და ბრუნვა

ტერორიზმის დაფინანსება:

ტერორიზმის დაფინანსებისთვის განკუთვნილ ფულადი სახსრების მართვა და ბრუნვა

ღირსება და პატივისცემა

ქსს-ს წევრები ეპყრობიან ადამიანებს ღირსებით და პატივისცემით:

ბენეფიციართა ღირსების დაცვა;

პატივისცემა კოლეგების მიმართ



ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა, მათ შორის არადისკრიმინაციული მიდგომა

ქსს-ს წევრებმა უნდა უზრუნველყონ გლობალური ფონდის პროგრამების ინკლუზიურობა, ორიენტირება აივ-ით, ტუბერკულოზით და მალარიით დაზარალებული მოსახლეობის, ძირითადი მოწყვლადი ჯგუფების (განსაკუთრებით სტიგმატიზაციის და მარგინალიზაციის შემთხვევაში) ღირსების, მათ მიმართ პატივისცემის, მათი შესაძლებლობების ზრდის მიმართ. ქსს-ს წევრები იზიარებენ პასუხისმგებლობას შევიწროებასა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობის, სექსუალური შევიწროების აკრძალვის, აღკვეთის, პრევენციის, რეაგირების თვალსაზრისით, მათ შორის ბავშვებთან მიმართებაში სექსუალური აქტივობის თვალსაზრისით, გლობალური ფონდის პროგრამების კონტექსტში.

ტერმინთა განმარტება:

-სექსუალური ექსპლუატაცია არის მოწყვლადი მდგომარეობის, დიფერენცირებული ძალაუფლების, ნდობის ფაქტობრივი გამოყენება ან გამოყენების მცდელობა სექსუალური მიზნებით, რაც განისაზღვრება, მაგრამ არ შემოიფარგლება: მონეტარული, სოციალური, პოლიტიკური სარგებელით სხვა პირის სექსუალური ექსპლუატაციის შედეგად.

-სექსუალური ძალადობა ნიშნავს სექსუალური ხასიათის ქმედებას ან ქმედების მუქარას, როგორც ძალადობრივ, ასევე არათანაბარ და იძულებით პირობებში.

► სექსუალური შევიწროება არის არასასურველი ქმედება სექსუალური ხასიათის, რომელიც გონივრულად შეიძლება იწვევდეს შეურაცყოფის ან დამცირების მოლოდინს ან აღქმას ჩაითვალოს სექსუალური ხასიათის სექსუალური შევიწროება შესაძლოა შეიცავდეს სიტყვიერ, არასიტყვიერ, ან ფიზიკური ხასიათის ქმედებას, მათ შორის წერილობითი ან ელექტრონული კომუნიკაცია, დაშეიძლება მოხდეს ერთსა და იმავე ან განსხვავებული გენდერის პირებს შორის.

-სექსუალური აქტივობა ბავშვებთან ნიშნავს სექსუალურ აქტივობას 18 წლამდე პირთან (მიხედვად ადგილობრივად მოქმედი ზრადსრულობის ასაკის ან თანხმობის ასაკისა).

ბავშვის ასაკის შესახებ მცდარი წარმოდგენა არ არის დაცვის საშუალება.

ქსს-ს წევრებს მოეთხოვებათ დაუყოვნებლივ შეატყობინოს სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის, სექსუალური შევიწროების ბრალდებების ფაქტები გლობალურ ფონდს.

გთხოვთ იხილოთ თავი „განცხადება“.

ქსს-ს წევრებს მოეთხოვებათ ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ატმოსფეროს ჩამოყალიბება და ხელის შეწყობა სხვა წევრებთან, განმახორციელებლებთან და გლობალური ფონდის პერსონალთან ურთიერთობისას.

ამრიგად, ქსს-ს წევრები უნდა იცავდნენ პატივისცემის პრინციპს დისკუსიების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ყველა სხვა სოციალურ ურთიერთობების განხორციელებას ქსს-სთან დაკავშირებულ ყველა მოწყობაში. წევრების მხრიდან მოსალოდნელია კოლეგების მიმართ ზრდილობის და პატივისცემის გამოხატვა, დაუშვებელია ვერბალური და ფიზიკური ძალადობა, და აქტივობებზე არასათანადო ზეგავლენის მოხდენა. დებატებისას ყველა გამომსვლელს უნდა ეძლეოდეს სათანადო დრო აზრის გამოხატვისთვის და გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ქსს-ს ყველა წევრის მიერ გამოთქმული მოსაზრებების ყოვლისმომცველი განხილვის შემდეგ.

დაუშვებელია ქსს-ს წევრების მხრიდან ბულინგის, ძალადობის (მათ შორის სექსუალური), დისკრიმინაციის და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სხვა ფორმების გამოვლინება.

აკრძალულია ქსს-ს წევრების ჩართვა სექსუალურ ექსპლუატაციაში, ძალადობაში, მათ შორის ბავშვებზე სექსუალურ ძალადობაში და შვიწროებაში.

განცხადება

რას ნიშნავს განცხადება?

ზოგადად, განცხადება ნიშნავს კითხვების წამოწევას, შეშფოთების გამოხატვას ან კოდექსის ან სხვა სახელმძღვანელო პრინციპების არასათანადო დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

რეკომენდირებულია ქსს-ს წევრებმა მხარი დაუჭირონ ერთმანეთს, აქტიურად იმსჯელონ იმის შესახებ თუ არის მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ქცევა კოდექსთან შესატყვისი. თუ პირველადმა ზომებმა არ გამოიღო საკმარისი შედეგები ქსს-ს წევრებმა უნდა უფრო ოფიციალური ფორმით გამოხატონ შეშფოთება ქსს-ს მმართველობითი სტრუქტურების და გლობალური ფონდის წინაშე.

როგორ უწყობს ხელს განცხადება საკითხის დარეგულირებას

განცხადების მეშვეობით, ქსს-ს წევრები ანიჭებენ სხვებს შესაძლებლობას მიიღონ ზომები და მხარი დაუჭირონ მათ.:

განმარტებების ან რჩევის მოძიება ზრდის წევრის შესაძლებლობას გადადგას სწორი ნაბიჯები.

წინამდებარე კოდექსთან არაშესაბამის ქმედებებზე მითითებამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს კოლეგის ქცევაზე.

ქსს-ს წინაშე საკითხის ოფიციალურად დაყენება შესაძლებლობას აძლევს ქსს-ს იმოქმედოს შესაბამისად და აძლიერებს ქსს-ს ეთიკურ კულტურას

გლობალური ფონდის წინაშე საკითხის წამოწევა:

ეთიკის ოფიცერის ან გენერალური ინსპექციის ოფისის კონფიდენციალური რჩევის მიღების შესაძლებლობას იძლევა.

იცავს განმცხადებლის იდენტურობას.

ხდება გლობალური ფონდის ინტერვენცია ოპერაციულ დონეზე.

ხდება ფაქტების დადგენის სამუშაოების წამოწყება.

შესაბამის შემთხვევაში, შესაძლოა სასჯელის ინიცირება.

შესაბამის შემთხვევაში, შესაძლებელია სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება.


ქსს-ს წევრებს აქვთ შეტყობინების ვალდებულება

ქსს-ს არის ორგანო, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს გლობალურ ფონდს ეჭვი ან ფაქტობრივი მონაცემები თაღლითობის და კორუფციის ნებისმიერი ფორმის (განსაზღვრულია როგორც „აკრძალული ქმედებები“) შესახებ. ამრიგად, თუ ქსს-ს წევრს აქვს ეჭვი ან ფლობს ფაქტობრივ მონაცემებს გლობალური ფონდის საქმიანობისთვის აკრძალული ქმედებების შესახებ იგი **ვალდებულია** განაცხადოს ამის შესახებ ქსს-ს ოფიციალური არხების მეშვეობით, ან უშუალოდ გლობალურ ფონდთან. **გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში, რომ ეჭვის ან ფაქტობრივი მონაცემების არგამჟღავნება წარმოადგენს აკრძალულ ქმედებას ან „ობსტრუქციას“.**

გლობალურმა ფონდმა მიანიჭა ქსს-ს წევრებს ინფორმაციის კონფიდენციალურად და/ან ანონიმურად მიწოდების და საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობა (არხები მოცემულია ქვემოთ სქემატურად). დარღვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გლობალური ფონდის პოლიტიკის შესაბამისად (the Global Fund’s Whistleblowing Policy), ინფორმაციის მიწოდება დარღვევების შესახებ გენერალური ინსპექტორის ოფისისთვის შეიძლება მოხდეს ანონიმურად ან კონფიდენციალურად. ამავდროულად გლობალური ფონდი იყენებს პროცედურებს, რომელიც მიმართულია აღნიშნული ქმედების საპასუხოდ ნებისმიერი ფორმის დევნის პრევენციისკენ, გამოვლენისკენ და საპასუხო ზომების მიღებისკენ.

როგორ შემიძლია მოვახდინოთ შეტყობინება ან მოვიძიოთ კონფიდენციალური რჩევა?

განცხადება მოითხოვს გამბედაობას და სიმტკიცეს. ამრიგად, თქვენი გადაწყვეტილება იმოქმედოთ დასაფასებელია და მასზე რეაგირება მოხდება თქვენს მიმართ პატივისცემით და თქვენი პერსონალური უსაფრთხოების გათვალისწინებით..



გლობალური ფონდი

ზოგადი

▶ ხ ა ს ი ა თის

რჩევითვის: თვნი

პორტუგალი

მენჯერო;

▶ ქსს ჰაბი: ccm@theglobalfund.org

კონფიდენციალური რჩევითვის:

▶ ეთიკის ოფიცერი: ethics@theglobalfund.org

დარღვევის შეტყობინება:

▶ გენერალური ინსპექციის კონფიდენციალური ცხელი ხაზი www.ispeakoutnow.org
+1 704 541 6918 (free service)



პრაქტიკული ნაბიჯები:

- ▶ ქსს-ს წევრების განკარგულებაშია განცხადების **სხვადასხვა არხები**, ეს შეიძლება იყოს სხვა წევრი, კომიტეტის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე, აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ან ქსს-ს სამდივნო. შესაძლებელია მიმართვა ადგილობრივი ფინანსური აგენტისადმი.

ქსს-ს წევრმა უნდა მიმართოს უშუალოდ გლობალურ ფონდს (1) თუ მას აქვს ეჭვი ან იგი ფლობს ფაქტობრივ მონაცემებს აკრძალული ქმედებების შესახებ; (2) თუ მას არ შეუძლია ღიად გამოთქვას მოსაზრება ქსს-ს შიგნით; (3) ან მის მიერ განხორციელებულმა ძალისხმევამ მოცემული ეტაპისთვის არ გამოიწვია სათანადო რეაგირება. ქსს-ს წევრს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს გლობალური ფონდის სამდივნოს შიგნით სხვადასხვა არხები: ქვეყნის გუნდი, პორტფოლიო მენეჯერი, ქსს-ს Hub, ეთიკის ოფიცერი ან გენერალური ინსპექციის ოფისი. შეგიძლიათ მიმართოთ თქვენთვის სასურველ არხს.



თუ თქვენ **გაშფოთებთ სამაგიეროს გადახდის** ალბათობა ან თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების უსაფრთხოება, მოახდინეთ განცხადება კონფიდენციალურად (მაგ. გლობალური ფონდის ეთიკის ოფიცერთან) ან გლობალური ფონდის ცხელი ხაზის "I Speak Out Now" მეშვეობით, სადაც შესაძლებელია ინფორმაციის კონფიდენციალურად, ანონიმურად მიწოდება ან მოითხოვეთ დარღვევების შესახებ სიგნალის მიმწოდებლის სტატუსი.



ნებისმიერ დროს, როდესაც ქსს-ს წევრი ესაუბრება რომელიმე პირს **მიუთითეთ**

დეტალები:

რა მოხდა?

ს ა დ?



როდის?

ყ ვ ე ლ ჩართული პირის ვინაობა



რა ში მდგომარეობს

პრობლემა?

სხვა ინფორმაცია

შეეცადეთ, როდესაც შესაძლებელია აწარმოთ წერილობითი ჩანაწერები იმის

შესახებ თუ რა თქვით, ვისთან, როდის

და მიღებული პასუხები. აღნიშნული

შესაძლებლობას მისცემს წევრს

განცხადების ვალდებულების

შესრულების დემონსტრირებისა.

არ შეჩერდეთ. თუ პრობლემა არ

მოგვარდა და კვლავ მეორდება

მიმართეთ სხვა არხს.



- ▶ Don't stop speaking up: If the problem continues or repeats, speak to another channel.
-

